

დოკუმენტის ბეჭდვის თარიღი: 2024 წლის

ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები

ანაბრის დასახელება ანაბრის ხელშეკრულება # _____, [წელი] წლის [რიცხვი, თვე]

ანაბრის საპროცენტო განაკვეთი	
ანაბრის საპროცენტო განაკვეთის ტიპი	ცვლადი
ანაბრის წლიური საპროცენტო განაკვეთი:	GEL _____ ; USD _____ ; EUR _____ ; GBP _____ .
ანაბრის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი (დაანგარიშებულია მაგალითის სახით):	თუ თვის განმავლობაში ანაბარზე არსებული ნაშთი შეადგენს საშუალოდ 1000 (ათასი) ერთეულს, ხოლო მინიმალური ნაშთი 100 (ასი) ერთეულს, ანაბრის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს GEL _____ %-ს; USD _____ %-ს; EUR _____ %-ს; GBP _____ %-ს.
ანაბრის ფინანსური ხარჯები	
ანაბრის ფინანსური ხარჯების მოცულობა:	ანაბრის და მასზე დარიცხული სარგებლის განაღდების საკომისიო GEL _____ USD/EUR/GBP
სხვა სახელშეკრულებო ინფორმაცია	
ანაბრის თანხა და ვალუტა:	განუსაზღვრელი ოდენობით; GEL/USD/EUR/GBP
მომხმარებელს აქვს ხელშეკრულების ნებისმიერ დროს შეწყვეტის უფლება, რაც არ ითვალისწინებს დამატებით საკომისიოს ან/და პირგასამტეხლოს.	

თქვენი დეპოზიტი დაზღვეულია „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილ დეპოზიტების დაზღვევის სისტემის ფარგლებში.

ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების ცვლილების შემთხვევაში, მომხმარებლის ინფორმირება მოხდება ცვლილებამდე არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე, ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში - არანაკლებ 1 (ერთი) თვით ადრე წერილობით / ელექტრონული ფოსტით / ინტერნეტ ბანკით / მობაილ ბანკით ან მოკლე ტექსტური შეტყობინებით გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე.

მენაბრეს უფლება აქვს წარადგინოს პრეტენზია ბანკის პრეტენზიების სამსახურში ზეპირი, თავისუფალი წერილობითი, სტანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმით.

უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტი მომხმარებელს მნიშვნელოვანი რისკის წინაშე აყენებს! ვალუტის კურსის ცვლილებამ შესაძლოა ლარით გამოხატული სარგებელი მნიშვნელოვნად შეამციროს. ლარის შესაძლო 15%-იანი წლიური გამყარების შემთხვევაში გაანგარიშებული დეპოზიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი = USD _____ % EUR _____ % GBP _____ % (დაანგარიშებულია ანაბრის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მაგალითის მონაცემების მიხედვით)

მენაბრის ხელმოწერა:

დოკუმენტის ბეჭდვის თარიღი: 2024 წლის

ანაზრის დასახელება ანაზრის ხელშეკრულება #

, საქართველო

წლის

1. წინამდებარე ხელშეკრულების მხარეებს წარმოადგენენ:

1.1. ბანკი:

1.1.1. საფირმო სახელწოდება:	სს "ლიბერთი ბანკი"
1.1.2. იურიდიული/საკორესპონდენტო მისამართი:	საქართველო, ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №74
1.1.3. საიდენტიფიკაციო კოდი:	203828304
1.1.4. ფილიალის/სერვის ცენტრის დასახელება:	
1.1.5. წარმომადგენელი (ხელმომწერი პირი):	ბანკის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირი

1.2. მეანაზრე:

1.2.1. სახელი და გვარი:	
1.2.2. პირადი ნომერი:	
1.2.3. საცხოვრებელი მისამართი:	
1.2.4. <u>საკონტაქტო მონაცემები:</u>	
• საკორესპონდენტო მისამართი: (ივსება თუ განსხვავდება საცხოვრებელი მისამართისაგან)	
• ტელეფონი:	
• ელ-ფოსტა:	
1.2.5. <u>წარმომადგენელი (ხელმომწერი პირი):</u>	
• სახელი და გვარი:	
• პირადი ნომერი:	

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. წინამდებარე ანაზრის დასახელება ხელშეკრულების საფუძველზე და მისი პირობების შესაბამისად მეანაზრე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ანგარიშზე (შემდგომში - ანაზრის ანგარიში) განათავსებს თანხას (შემდგომში - ანაზარი), ხოლო ბანკი ხელშეკრულებით განსაზღვრული მოცულობით დაარიცხავს ანაზარს სარგებელს.

2.2. ანაზრის მოცულობა, სარგებელი და ხელშეკრულების სხვა პირობები:

2.2.1. <u>ანაზრის მოცულობა, ვადა და პირობები:</u>	
(i) ანაზრის მოცულობა და ვალუტა:	განუსაზღვრელი ოდენობით; GEL, USD, EUR, GBP
(ii) ანაზრის (ხელშეკრულების) მოქმედების ვადა:	უვადო
(iii) ანაზრის ანგარიშის ნომერი (შემდგომში - ანაზრის ანგარიში):	
(iv) ანაზრის ფინანსური ხარჯების მოცულობა:	
(v) ანაზრის სხვა ხარჯები:	ა) ანაზრის ანგარიშიდან ანაზრის თანხის განაღდებას საკომისიო განისაზღვრება უნივერსალური ანგარიშის მომსახურების პირობებით, ხოლო ანაზარზე დარიცხული სარგებლის განაღდებაზე საკომისიო არ ვრცელდება; ბ) ანაზრის ანგარიშიდან თანხის გადარიცხვა შესაძლებელია მხოლოდ მეანაზრის ანაზრის მომსახურე ანგარიშზე; გ) ანაზრის ანგარიშიდან ნებისმიერი თანხის გადარიცხვა მეანაზრის ანაზრის მომსახურე ანგარიშზე ხდება საკომისიოს გადახდის გარეშე.
(vi) ანაზარზე თავდაპირველი/მინიმალური შენატანის მოცულობა:	განუსაზღვრელი ოდენობით

ბანკი / _____ /

მეანაზრე / _____ /

(vii) ანაზრის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მოცულობა (დაანგარიშებულია მაგალითის სახით):	თუ თვის განმავლობაში ანაზარზე არსებული ნაშთი შეადგენს საშუალოდ 1000 (ათასი) ერთეულს, ხოლო მინიმალური ნაშთი 100 (ასი) ერთეულს, ანაზრის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს GEL %-ს; USD %-ს; EUR %-ს; GBP %-ს.
(viii) ანაზრის ანგარიშიდან ანაზრის ან/და მასზე დარიცხული სარგებლის განაღდებას დღიური ლიმიტი:	არ არის განსაზღვრული
2.2.2. სარგებელი:	
(i) საპროცენტო განაკვეთი (წლიური):	GEL [პროცენტი ციფრებით]([პროცენტი სიტყვიერად]) USD [პროცენტი ციფრებით]([პროცენტი სიტყვიერად]) EUR [პროცენტი ციფრებით]([პროცენტი სიტყვიერად]) GBP [პროცენტი ციფრებით]([პროცენტი სიტყვიერად])
(ii) საპროცენტო განაკვეთის ტიპი:	ცვლადი
(iii) ანაზარზე სარგებლის დარიცხვის დაწყების თარიღი:	ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან
(iv) სარგებლის დარიცხვის პრინციპი:	სარგებლის დარიცხვა განხორციელდება ყოველთვიურად, 1 (ერთი) თვის განმავლობაში ანაზარზე უწყვეტად განთავსებულ მინიმალურ ნაშთზე.
(v) დარიცხული სარგებლის მეანაზრისათვის გაცემა განხორციელდება:	ყოველთვიურად
2.2.3. დამატებითი პირობები	მეანაზრეს აქვს ხელშეკრულების ნებისმიერ დროს შეწყვეტის უფლება, რაც არ ითვალისწინებს დამატებით საკომისიოს ან/და პირგასამტეხლოს.

3. სხვა პირობები

3.1. წინამდებარე ანაზრის ხელშეკრულება, მისი თავსართი (ანაზრის ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები), ანაზრის (დეპოზიტის) ხელშეკრულების სტანდარტული პირობები და მათი დანართები, მასში შესული ცვლილებების და დამატებების ჩათვლით წარმოადგენს ერთიან ხელშეკრულებას.

3.2. მეანაზრე ადასტურებს, რომ ხელშეკრულების გაფორმებამდე, წინასწარ გაეცნო და ეთანხმება ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს, რომელიც ხელმისაწვდომია ბანკის შემდეგ ვებ-გვერდზე: <http://libertybank.ge>.

3.3. თუ წინამდებარე პირობებით ან საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ბანკს უფლება აქვს შეწყვიტოს მთლიანი ხელშეკრულება ნებისმიერ დროს. ასეთ შემთხვევაში ბანკი მეანაზრეს გაუგზავნის შესაბამის შეტყობინებას, ხელშეკრულების შეწყვეტამდე სულ მცირე 1 (ერთი) თვით ადრე.

3.4. ბანკი უფლებამოსილია ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე, საკუთარი შეხედულებისამებრ, ცალმხრივად (მეანაზრის დამატებითი თანხმობის გარეშე) შეცვალოს ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები, მათ შორის საპროცენტო განაკვეთი, შემდეგი გარემოებებიდან ერთ-ერთის ან რამდენიმეს არსებობისას: ა) კანონმდებლობაში, რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაცემულ მითითებებს, განხორციელებული ცვლილებების გამო ბანკს დაეკისრება ვალდებულებები (როგორც ფინანსური, ასევე არაფინანსური), რის გამოც ბანკისთვის ანაზარზე ხელშეკრულებით განსაზღვრული საპროცენტო სარგებლის დარიცხვა დაკავშირებული იქნება დამატებით ხარჯებთან; ბ) განხორციელდება ეკონომიკური ფაქტორების იმგვარი ცვლილება, რომ ანაზარზე ხელშეკრულებით განსაზღვრული საპროცენტო სარგებლის დარიცხვამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას ბანკის ფინანსურ სტაბილურობას; გ) ბანკის ან/და მეანაზრის ფინანსური მაჩვენებლების გათვალისწინებით, ბანკისთვის არ არის ფინანსურად მომგებიანი ანაზარზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპროცენტო სარგებლის დარიცხვა; დ) მეანაზრის მიერ ბანკის საბანკო პროდუქტებით/მომსახურებით სარგებლობის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ მეანაზრის მიერ ბანკის საბანკო პროდუქტებით/მომსახურებით სარგებლობის ინტენსივობა არ არის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპროცენტო სარგებლის თანაზომიერი; ე) ბანკის მიმდინარე პოლიტიკის, შიდა დოკუმენტების, პროცესების ან/და ბიზნეს ინტერესების ცვლილების გამო, აუცილებელია ხელშეკრულების პირობების (მათ შორის საპროცენტო განაკვეთის) ცვლილება;

3.5. ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების ცვლილების შემთხვევაში, მეანაზრის ინფორმირება მოხდება ცვლილებამდე არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე, ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში - არანაკლებ 1 (ერთი) თვით ადრე წერილობით/ელექტრონული ფოსტით/ინტერნეტ ბანკით/მობაილ ბანკით ან მოკლე ტექსტური შეტყობინებით გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე. ამასთან წინასწარი გაფრთხილების ვალდებულება არ ვრცელდება ისეთ შემთხვევებზე, როდესაც:

- 3.5.1. **ხელშეკრულებით** განსაზღვრული მომსახურების ტარიფების (მათ შორის, **საპროცენტო სარგებლის**) ცვლილება ხორციელდება **მენაბრის** სასარგებლოდ;
- 3.5.2. **ხელშეკრულებაში** ხორციელდება ახალი პროდუქტის დამატება ან არსებულის შეცვლა, რომელიც არსებითად არ ანაცვლებს ან/და არ ცვლის **ხელშეკრულებაში** არსებულ პროდუქტ(ებ)ს;
- 3.6. **მენაბრე** უფლებამოსილია, გაწეულ საბანკო მომსახურებასთან დაკავშირებით პრეტენზიის არსებობის შემთხვევაში, აცნობოს **ბანკს** აღნიშნულის შესახებ ზეპირი ან წერილობითი (თავისუფალი ან/და სტანდარტული) ფორმით **ბანკის** ფილიალების ან/და სერვის-ცენტრების მეშვეობით, ან/და ელექტრონული ფორმით **ბანკის** კორპორატიული ვებ-გვერდის www.libertybank.ge ან/და ელ-ფოსტა ConsumerProtection@lb.ge საშუალებით. **ბანკის** მიერ პრეტენზიის განხილვის და შესაბამისი პასუხის მიღების მაქსიმალური ვადა შეადგენს 1 (ერთი) თვეს. **მენაბრეს** შესაძლებლობა აქვს გაეცნოს **ბანკის** მიერ პრეტენზიების განხილვის პროცედურას **ბანკის** ვებ-გვერდის <https://www.libertybank.ge/ka/momkhmarebelta-uflebebi> საშუალებით.
- 3.7. **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე ყველა დავა უნდა გადაწყდეს **მხარეთა** შორის მოლაპარაკების გზით. დავის მოუგვარებლობის შემთხვევაში, **მხარეები** მიმართავენ სასამართლოს **ბანკის** ადგილსამყოფელის (იურიდიული მისამართის) მიხედვით.

ლარის შესაძლო 15%-იანი წლიური გამყარების შემთხვევაში გაანგარიშებული დეპოზიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი = USD % EUR % GBP % (დაანგარიშებულია ანაბრის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მაგალითის მონაცემების მიხედვით)